## კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## დადგენილება №5
2015 წლის 6 თებერვალი

ქ. კასპი

## „კასპის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 21 ნოემბრის №59 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის „ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის და ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

**მუხლი 1**

„კასპის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 21 ნოემბრის №59 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 27/11/2014; 190020020.35.149.016226) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) დადგენილების 1-ლი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

| დასახელება | 2013 წლის ფაქტი | 2014 წლის ფაქტი | | | 2015 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| შემოსავლები | 8,310.2 | 17755,3 | 9887,2 | 7868,1 | 7943.2 | 1113.2 | 6,830.0 |
| გადასახადები | 1,714.8 | 1784,4 | 0.0 | 1784,4 | 1,500.0 | 0.0 | 1,500.0 |
| გრანტები | 5,640.4 | 14583,2 | 9887,2 | 4696,0 | 5698.2 | 1113.2 | 4585.0 |
| სხვა შემოსავლები | 955.0 | 1387,7 | 0.0 | 1387,7 | 745.0 | 0.0 | 745.0 |
| | | | | | | | |
| ხარჯები | 7,881.0 | 8146,5 | 1403,1 | 6743,4 | 7684.4 | 373.8 | 7310.6 |
| შრომის ანაზღაურება | 2,114.4 | 1800,7 | 0.0 | 1800,7 | 1711.8 | 0.0 | 1711.8 |
| საქონელი და მომსახურება | 1,149.5 | 1437,6 | 0.0 | 1437,6 | 1903.2 | 0.0 | 1903.2 |
| პროცენტი | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| სუბსიდიები | 2,633.0 | 3091,3 | 0.0 | 3091,3 | 2973.5 | 0.0 | 2973.5 |
| გრანტები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 341.5 | 0.0 | 341.5 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | |
| სოციალური უზრუნველყოფა | 352.3 | 378,3 | 111,0 | 267,3 | 302,6 | 0.0 | 302,6 |
| სხვა ხარჯები | 1,631.8 | 1438,6 | 1292,1 | 146,5 | 451.8 | 373.8 | 78.0 |
| საოპერაციო სალდო | 429.2 | 9608,8 | 8484,1 | 1124,7 | 258.8 | 739.4 | 480.6 |
| არაფინანსური აქტივების ცვლილება | 2,105.4 | 7303,5 | 7257,7 | 45,8 | 3235.9 | 2337.9 | 898.0 |
| ზრდა | 2,139.2 | 7394,0 | 7257,7 | 136,3 | 3335.9 | 2337.9 | 898.0 |
| კლება | 33.8 | 90,5 | 0.0 | 90,5 | 100.0 | 0.0 | 100.0 |
| მთლიანი სალდო | -1,676.2 | 2305,3 | 1226,4 | 1078,9 | 2977.1 | 1598.5 | 1378.6 |
| ფინანსური აქტივების ცვლილება | -1,677.6 | 2303,9 | 1226,4 | 1077,5 | 2978.6 | 1598.5 | 1380.1 |
| ზრდა | 0.0 | 2303,9 | 1226,4 | 1077,5 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| კლება | 1,677.6 | | | | 2978.6 | 1598.5 | 1380.1 |
| ვალუტა და დეპოზიტები | 1,677.6 | 2303,9 | 1226,4 | 1077,5 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ვალდებულებების ცვლილება | -1.4 | | | | -1.5 | 0.0 | -1.5 |
| ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| საგარეო | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| საშინაო | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| კლება | 1.4 | 1.5 | 0.0 | 1.5 | 1.5 | 0.0 | 1.5 |
| საგარეო | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| საშინაო | 1.4 | 1.5 | 0.0 | 1.5 | 1.5 | 0.0 | 1.5 |

**ბ)** დადგენილების მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**,,მუხლი 2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

| დასახელება | 2013 წლის ფაქტი | 2014 წლის ფაქტი | | | 2015 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| შემოსულობები | 8,344.0 | 17845,8 | 9887,2 | 7958,6 | 8043.2 | 1113.2 | 6,930.0 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| შემოსავლები | 8,310.2 | 17755,3 | 9887,2 | 7868,1 | 7943.2 | 1113.2 | 6830.0 |
| არაფინანსური აქტივების კლება | 33.8 | 90,5 | 0.0 | 90,5 | 100.0 | 0.0 | 100.0 |
| ფინანსური აქტივების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ვალდებულებების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |

გ) დადგენილების მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 3. კასპის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 7943.2 ათასი ლარის ოდენობით:

| დასახელება | 2013 წლის ფაქტი | 2014 წლის ფაქტი | | | 2015 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| შემოსავლები | 8,310.2 | 17755,3 | 9887,2 | 7868,1 | 7943.2 | 1113.2 | 6,830.0 |
| გადასახადები | 1,714.8 | 1784,4 | 0.0 | 1784,4 | 1,500.0 | 0.0 | 1,500.0 |
| გრანტები | 5,640.4 | 14583,2 | 9887,2 | 4696,0 | 5698.2 | 1113.2 | 4585.0 |
| სხვა შემოსავლები | 955.0 | 1387,7 | 0.0 | 1387,7 | 745.0 | 0.0 | 745.0 |

დ) დადგენილების მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის გადასახადები 1500,0 ათასი ლარის ოდენობით:

| დასახელება | 2013 წლის ფაქტი | 2014 წლის ფაქტი | | | 2015 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| გადასახადები | 1,714.8 | 1784,4 | 0.0 | 1784,4 | 1,500.0 | 0.0 | 1,500.0 |
| საშემოსავლო გადასახადი | | | | | | | |
| ქონების გადასახადი | 1,714.7 | 1784,4 | 0.0 | 1784,4 | 1,500.0 | 0.0 | 1,500.0 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | |
| საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 1,019.7 | 1096,6 | | 1096,6 | 1,130.0 | | 1,130.0 |
| ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | **9.9** | **11,9** | **0.0** | **11,9** | **13.0** | **0.0** | **13.0** |
| ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე | 2.6 | 5,2 | | 5,2 | 5.0 | | 5.0 |
| არაეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ უძრავ ქოენბაზე | 7.4 | 6,7 | | 6,7 | 8.0 | | 8.0 |
| საქართველოში რეგისტრირებულ მსუბუქ ავტომობილებზე | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | **268.7** | **239,2** | **0.0** | **239,2** | **114.0** | **0.0** | **114.0** |
| ფიზიკურ პირებიდან | 235.0 | 230,4 | | 230,4 | 84.0 | | 84.0 |
| იურიდიულ პირებიდან | 33.7 | 8,9 | | 8,9 | 30.0 | | 30.0 |
| არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | **415.5** | **441,7** | **0.0** | **441,7** | **243.0** | **0.0** | **243.0** |
| ფიზიკურ პირებიდან | 26.9 | 23,8 | | 23,8 | 50.0 | | 50.0 |
| იურიდიულ პირებიდან | 388.5 | 417,9 | | 417,9 | 193.0 | | 193.0 |
| სხვა გადასახადები ქონებაზე | **0.9** | **0.0** | | | **0.0** | | |
| სხვა გადასახადები | **0.1** | **0.0** | | | **0.0** | | |

ე) დადგენილების მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 5698.2 ათასი ლარის ოდენობით:

| დასახელება | 2013 წლის ფაქტი | 2014 წლის ფაქტი | 2015 წლის გეგმა |
|---|---|---|---|
| გრანტები | **5640,4** | **14583,2** | **5698.2** |
| სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი | **5640,4** | **14583,2** | **4585.0** |
| ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები | **2917,3** | **4696,0** | **4585.0** |
| გათანაბრებითი ტრანსფერი | 2747,3 | 4408,0 | 4408.0 |
| მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად | 170,0 | 177,0 | 177,0 |
| ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | **2723,1** | **9702.2** | |

| | | | |
|---|---|---|---|
| საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხა | 1655,1 | 9887,2 | 1113.2 |
| სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 950,8 | 1039.4 | |
| სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო თანხები | | | |
| *პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი* | | | |
| *მთავრობის სარეზერვო ფონდი* | *117,2* | *111,0* | |

ვ) დადგენილების მე–6 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 745.0 ათასი ლარის ოდენობით:

| დასახელება | 2013 წლის ფაქტი | 2014 წლის ფაქტი | 2015 წლის გეგმა |
|---|---|---|---|
| **სხვა შემოსავლები** | **955,0** | **1387,7** | **745.0** |
| **შემოსავლები საკუთრებიდან** | **583,7** | **725,3** | **340,0** |
| **პროცენტები** | 220,1 | 201,2 | |
| **დივიდენდები** | **0.0** | **0.0** | **0.0** |
| **რენტა** | **363,6** | **524,1** | **340,0** |
| მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის | 363,6 | 524,1 | 340,0 |
| შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია** | **93,2** | **189,6** | **136,5** |
| **ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები** | **90,8** | **184,8** | **136,5** |
| სანებართვო მოსაკრებელი | 4,3 | 66,9 | 16.2 |
| სახელმწიფო ბაჟი | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი | 0,8 | 0,4 | 0,8 |
| სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ადგილობრივი მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის | 0,0 | 0.0 | 0.0 |
| ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის | 85,7 | 116,6 | 120,0 |
| სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი | 0,0 | 0.0 | 0.0 |
| **ჯარიმები, სანქციები და საურავები** | **278,0** | **389,3** | **268.0** |

ზ) დადგენილების მე-7 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 7684.4 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

| დასახელება | 2013 წლის ფაქტი | 2014 წლის ფაქტი | | | 2015 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| ხარჯები | 7,881.0 | 8146,5 | 1403,1 | 6743,4 | 7684.4 | 373.8 | 7310.6 |
| შრომის ანაზღაურება | 2,114.4 | 1800,7 | 0.0 | 1800,7 | 1711.8 | 0.0 | 1711.8 |
| საქონელი და მომსახურება | 1,149.5 | 1437,6 | 0.0 | 1437,6 | 1903.2 | 0.0 | 1903.2 |
| პროცენტი | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| სუბსიდიები | 2,633.0 | 3091,3 | 0.0 | 3091,3 | 2973.5 | 0.0 | 2973.5 |
| გრანტები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 341.5 | 0.0 | 341.5 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 352.3 | 378,3 | 0.0 | 378,3 | 302.6 | 0.0 | 302.6 |
| სხვა ხარჯები | 1,631.8 | 1438,6 | 1292,1 | 146,5 | 451.8 | 373.8 | 78.0 |

თ) დადგენილების მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 3235.9 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 3335.9 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

| კოდი | დასახელება | 2013 წლის ფაქტი | 2014 წლის ფაქტი | 2015 წლის გეგმა |
|---|---|---|---|---|
| 01 00 | წარმომადგენლობითიდააღმასრულებელიორგანოებისდაფინანსება | 8,5 | | 16,0 |
| 02 00 | თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება | | | 37.5 |
| 03 00 | ინფრასტრუქტურისმშენებლობა, რეაბილიტაციადაექსპლუატაცია | 2130,7 | 6989,1 | 3102.0 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 04 00 | განათლება | | 540,0 | 180.4 |
| სულ ჯამი | | 2139,2 | 7394,0 | 3335.9 |

ზ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 100,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

| დასახელება | 2013 ფაქტი | 2014 წლისფაქტი | 2015 წლისგეგმა |
|---|---|---|---|
| არაფინანსურიაქტივებისკლება | 33,8 | 90,5 | 100,0 |
| ძირითადიაქტივები | 33,8 | 90,5 | 100,0 |
| არაწარმოებულიაქტივები | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| მიწა | 0,0 | 0,0 | 0,0 |

ი) დადგენილების მე-9 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

| ფუნქციო ნალური კოდი | დასახელება | 2013 წლის ფაქტი | 2014 წლის ფაქტი | 2015 წლის გეგმა |
|---|---|---|---|---|
| 701 | საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება | 2457.2 | 2142.3 | 2493.6 |
| 7011 | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები | 2457.2 | 2142.3 | 2493.6 |
| 70111 | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა | 2457.2 | 2088.0 | 2423.6 |
| 70112 | ფინანსური და ფისკალური საქმიანობა | | 54.3 | 70,0 |
| 7013 | საერთო დანიშნულების მომსახურება | 0,0 | 0.0 | 0.0 |
| 70133 | საერთო დანიშნულების სხვა მომსახურება | 0,0 | 0.0 | 0.0 |
| 7018 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში | 0.0 | 0.0 | 0.0 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 702 | თავდაცვა | 109.7 | 123,0 | 186.5 |
| 703 | საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება | 341.2 | 340.9 | 341,5 |
| 7031 | პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა | 0,0 | 0.0 | 0.0 |
| 7032 | სახანძრო–სამაშველო სამსახური | 341.2 | 340.9 | 341,5 |
| 704 | ეკონომიკური საქმიანობა | 1801.2 | 6846.2 | 2520.2 |
| 7042 | სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა | 340.7 | 1197.5 | 666.9 |
| 70421 | სოფლის მეურნეობა | 340.7 | 1197.5 | 666.9 |
| 7045 | ტრანსპორტი | 1460.5 | 5648,7 | 1853.3 |
| 70451 | საავტომობილო ტრანსპორტი და გზები | 1460.5 | 5648.7 | 1803.3 |
| 70455 | მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები | | | 50,0 |
| 705 | გარემოს დაცვა | 328.6 | 1446.8 | 747.5 |
| 7051 | ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება | 287.2 | 627.0 | 600.0 |
| 7052 | ჩამდინარე წყლების მართვა | 41.4 | 819.8 | 147.5 |
| 706 | საბინაო-კომუნალური მეურნეობა | 2464.9 | 2876.7 | 1454.5 |
| 7062 | კომუნალური მეურნეობის განვითარება | 1550.3 | 1458,3 | 423.8 |
| 7063 | წყალმომარაგება | 634.2 | 944.9 | 133.3 |
| 7064 | გარე განათება | 179.0 | 290.0 | 350.0 |
| 7066 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში | 101.4 | 183.5 | 547.4 |
| 707 | ჯანმრთელობის დაცვა | 59.8 | 65.0 | 65.0 |
| 7074 | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება | 59.8 | 65.0 | 65.0 |
| 708 | დასვენება, კულტურა და რელიგია | 1252.3 | 1313.6 | 1559.5 |
| 7081 | მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში | 380.8 | 424,5 | 456,0 |
| 7082 | მომსახურება კულტურის სფეროში | 853.6 | 863.1 | 1073.5 |
| 7084 | რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა | 17.9 | 26.0 | 30,0 |
| 709 | განათლება | 849.8 | 1646.3 | 1329.4 |
| 7091 | სკოლამდელი აღზრდა | 849.8 | 1646.3 | 1329.4 |
| 7092 | ზოგადი განათლება | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 70923 | საშუალო ზოგადი განათლება | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 710 | სოციალური დაცვა | 355.5 | 262,5 | 322.6 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 7104 | ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა | 117.5 | 0.0 | 0.0 |
| 7107 | სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას | 3.2 | 18,5 | 20,0 |
| 7108 | გამოყენებითი კვლევები სოციალური დაცვის სფეროში | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 7109 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში | 234.8 | 244.0 | 302.6 |
| | სულ | 10020.2 | 17063,3 | 11020.3 |

კ) დადგენილების მე-16 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 16.

1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (პროგრამული კოდი 02 00)

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტში ხორციელდება სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის, წვევამდელთა სამედიცინო შემოწმებისა და ტრანსპორტირების ღონისძიებები.

სტიქიური მოვლენების, უბედური შემთხვევებისა და სხვა საგანგებო სიტუაციების შემთხვევაში მოსახლეობისათვის დახმარების გასაწევად სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს სამაშველო სამსახურის ოპერატიული მოქმედება, მათი მზადყოფნა დროული და სათანადო დახმარების აღმოსაჩენად. ამიტომ აუცილებელია პერსონალის სახანძრო და სამაშველო ტექნიკური ინვენტარით უზრუნველყოფა, პერსონალისათვის სათანადო ხარისხის ინდივიდუალური და ჯგუფური წვრთნების ჩატარება და პროფესიული დონის ამაღლება.

ა) საგანგებო სიტუაციების მართვა (პროგრამული კოდი 02 01)

ხანძრისა და სტიქიური უბედურების შემთხვევების დროს, მოსახლეობისა და მათი ქონების დასაცავად ადგილზე დროული მისვლა და კვალიფიციური დახმარების აღმოჩენა; საგანგებო სიტუაციების სალიკვიდაციო სამუშაოების განხორციელება.

ბ) ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 03)

შეიარაღებული ძალების თავდაცვისუნარიანობის ამაღლების მიზნით ხორციელდება მოსწავლეთა პირველადი აღრიცხვა, წვევამდელთა გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირება და სამედიცინო შემოწმება. ასევე სარეზერვო ძალების მობილიზება.

2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება, რაც ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, სასმელი წყლის და საკანალიზაციო სისტემების მოწყობა–რეაბილიტაცია, დასასვენებელი პარკების კეთილმოწყობა. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა, პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

ა) საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული გზების მდგომარეობის შენარჩუნება; ქალაქის დაზიანებული გზების ორმოული შეკეთება, ქუჩების მოვლა ზამთრის სეზონზე.

პროგრამის ფარგლებში დასრულდება ზემო ხანდაკი–ხოვლის საავტომობილო გზის რეაბილიტაციის სამუშაოები, ასევე განხორციელდება ოკამი–ლამისყანა–თეზის თბილისი-სენაკი-ლესელიძის ჩქაროსნულ მაგისტრალთან შემაერთებელი გზის სრული რეაბილიტაციის II ეტაპი, დაპროექტდება: მდინარე თეძამზე, სოფელ თეძმისხევის და ახალსოფლის დამაკავშირებელი სამანქანე და საფეხმავლო ხიდი, სოფელ თელიანის მონაკვეთზე სასირეთი–თელიანის გზის რეაბილიტაცია–მოასფალტების სამუშაოები, ქალაქ კასში აღმაშენებლის ქუჩაზე ,,წყალსაქათან“ მდებარე ხიდის, დადიანის ქუჩის სრული და მირიან მეფის ქუჩის და კვარტალური ეზოების მოწყობის რეაბილიტაციის სამუშაოები.

**ბ) კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 02)**

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია გარე განათების ქსელის გაფართოვება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება, დაფინანსდება სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა-რეაბილიტაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

**ბ.ა) დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 02)**

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფა, შესაბამისად, ქვეპროგრამის ფარგლებში გავალისწინებულია მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა–დასუფთავება და ნარჩენების გატანა. აღნიშნული პროგრამა კიდევ უფრო გაფართოვდა, ვინაიდან კასპთან ერთად პროგრამაში ჩართულია სოფ. მეტეხსა და სოფ. თელიანში არსებული დევნილთა ჩასახლებები.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლებიდან ნარჩენების გატანა ნაგავსაყრელზე.

ქვეპროგრამის ფარგლებში ზამთრის პერიოდში განხორციელდება გზების ტექნიკური მარილით დამუშავება, ხოლო დიდთოვლობის შემთხვევაში–ჭარბი თოვლისგან გათავისუფლება.

**ბ.ბ) საკანალიზაციო სისტემების მოწყობა და რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 02 03)**

ქვეპროგრამის ფარგლებში ანზღაურებული იქნება ქალაქ კასპში ვარჯაანის დასახლების კანალიზაციის ქსელის მოწყობის სამუშაოების ღირებულება.

ქვეპროგრამის ფარგლებში დაპროექტდება ქალაქ კასპში საკანალიზაციო ცენტრალური ქსელის რეაბილიტაციის და დარჩენის ქუჩებზე ქსელის მოწყობის სამუშაოები

**ბ.გ) სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 04)**

მუნიციპალიტეტის ზოგიერთ სოფელში ჯერ კიდევ არსებობს სარწყავი წყლის პრობლემა, ხშირად საჭირო ხდება სარწყავი არხებისა და მდინარეების კალაპოტების გაწმენდა. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სოფლების: ქვახვრელის სატუმბი სადგურის მიერ სარწყავი წყლის მიწოდებაზე მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯი, ასევე დასრულდება კასპში ,,შავრობისა“ და ,,ახტალას“ სარწყავი არხების რეაბილიტაცია.

**ბ.დ) წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 05)**

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მუნიციპალიტეტის სოფლებში სასმელი წყლის მიწოდებაზე დახარჯული ელექტროენერგიის ღირებულება.

ქვეპროგრამის ფარგლებში დაპროექტდება: სოფელ ნიგოზაში და სოფელ ჩობალაურში სასმელი

წყლის ქსელის რეაბილიტაციის, სატუმბი სადგურის მოწყობის, სოფელ სამთავისში არსებული სადგურის რეკონსტრუქციის და სოფელ ზემო ხანდაკის სასმელი წყლის მაგისტრალის არსებულ წყალშემკრებ რეზერვუარამდე მიყვანის სამუშაოები.

ბ.ე) სპორტული მოედნების მშენებლობა, მოწყობა (პროგრამული კოდი 03 02 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში რეაბილიტაცია ჩაუტარდება, კასპში: მიკრორაიონის ტერიტორიაზე და ,,ქარწისის ტერიტორიაზე არსებულ სტადიონებს, მოეწყობა ვარჯაანის დასახლებაში ერთი სპორტული მოედანი.

ბ.ვ) აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 03 02 07)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია თანადაფინანსება აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ ინფრასტრუქტურული და სასოფლო–სამეურნეო პროექტების განხორციელებაში.

ბ.ზ) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ამხანაგობების თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 03 02 08)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ამხანაგობების თანადაფინანსება.

ბ.თ) მუნიციპალური განვითარების ფონდის თანადაფინანსება სპორტული კომპლექსის მშენებლობისათვის (პროგრამული კოდი 03 02 10)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება კასპში, მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ სპორტული კომპლექსის მშენებლობის თანადაფინანსება.

ბ.ი) გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 11)

დღე-ღამის ნებისმიერ დროს, მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განათება, რისი გათვალისწინებითაც, ქვეპროგრამის ფარგლებში მოეწყობა კასპის ქუჩების და სოფლების გარე განათება. ასევე დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია.

გ) მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული სკვერებისა და პარკების კეთილმოწყობის სამუშაოები, მოწესრიგდება გამწვანების ზოლები, ასევე დაფინანსდება: ბაღების, სკვერების და მგზავრთა მოსაცდელების ექსპლოატაციის ხარჯები.

გ.ა) ბაღებისა და სკვერების მოვლა–შენახვა (პროგრამული კოდი 03 03 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება არსებული სკვერებისა და ბაღების მოვლა, ახალი ხეების დარგვა და გამწვანების ზოლებში ყვავილებისა და სხვა დეკორატიული მცენარეების განაშენიანება.

ქვეპროგრამის ფარგლებში კასპში მოეწყობა ორი სკვერი: რკინა–ბეტონის კორპუსთან მიმდებარედ და ჭავჭავაძის და რუსთაველის ქუჩის გადაკვეთაზე არსებული მრავალსართულიანი კორპუსების ეზოში.

გ.ბ) მგზავრთა მოსაცდელების მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 03 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია კასპში მგზავრთა 5 (ხუთი) მოსაცდელის მოვლა-შენახვა და კასპის მიკრორაიონში 2 (ორი) მოსაცდელის მოწყობა.

დ) სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები (პროგრამული კოდი 03 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება, 2014 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში

განსახორციელებელი პროექტები.

ე) სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები(პროგრამული კოდი 03 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება, რომელიც განხორციელდება კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით.

3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების სწავლა-განათლება და სკოლამდელი ასაკის ბავშვების მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობა. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს საგანმანათლებლო ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ბავშვებს ჰქონდეთ საფუძველი მათი შემდგომი განვითარებისათვის.

ა)ა(ა)იპ კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დაფინანსება (ს/ნ 232559781)(პროგრამული კოდი 04 01)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების გახსნა და მათი ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 26 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 1350 მეტი აღსაზრდელი. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მუნიციპალიტეტში მოქმედი ყველა საბავშვო ბაღის მიმდინარე ხარჯები. საბავშვო ბაღები მომარაგდება სათბობი შეშით.

ბ) სსიპ საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის წარმომადგენლობა კასპში (პროგრამული კოდი 04 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია კასპში სალოტბარო სკოლის შექმნა, სადაც ახალგაზრდობა უფასოდ შეისწავლის უძველეს ქართულ ხალხურ სიმღერებს და ტრადიციულ გალობას.

გ) საბავშვო ბაღების შენობის რემონტი (პროგრამული კოდი 04 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში დასრულდება 2014 წელს დაწყებული საბავშვო ბაღების შენობების ნაწილობრივი რეაბილიტაციის სამუშაოები

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება კასპში საბავშვო ბაღების შენობების რეაბილიტაციის II ეტაპის სამუშაოების პროექტირება.

4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების სულიერი და ფიზიკური განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლენა.

ა) სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის შესაბამისი სავარჯიშო პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.

ა.ა) სპორტის დაწესებულების გაერთიანების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 01)

2015 წლის განმავლობაში ქვეპროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები. ახალგაზრდებში, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების მიზნით, მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში დაგეგმილია სპორტის პოპულარიზაცია, მუნიციპალიტეტის სპორტსმენთა მონაწილეობის მიღება რეგიონალურ, სახელობით, რესპუბლიკურ, საერთაშორისო ტურნირებზე, მოწინავე სპორტსმენების ოსტატობის ამაღლების და ფიზიკური მომზადებისათვის სასწავლო-საწვრთნელი და გამაჯანსაღებელი შეკრებების მოწყობა. 2015 წლის განმავლობაში დაახლოებით 450 სპორტსმენი გაივლის სპორტულ მომზადებას.

ბ) კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის: სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

ბ.ა) კულტურის სფეროს დაწესებულებების გაერთიანების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობისათვის კულტურული და გასართობი ღონისძიებების მოწყობა. სხვადასხვა დღესასწაულებისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ორგანიზება. აღნიშნული ღონისძიებები ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში არსებული შემოქმედებითი კოლექტივების გამოვლენასა და მათ შემდგომ განვითარებას. მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტში დაგეგმილია შემდეგი სახის კულტურული ღონისძიების მოწყობა:

- აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულისადმი მიძღვნილი ღონისძიება;
- საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიება;
- ქართული ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი „არტგენი“;
- კონცერტი მუნიციპალიტეტის შემოქმედებითი კოლექტივების მონაწილეობით;
- საახალწლო ღონისძიებების კვირეული.

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მუნიციპალიტეტში არსებული 20 (ოცი) სოფლის კლუბი და 5 (ხუთი) კულტურის სახლი, სადაც ფუნქციონირებს თოჯინების თეატრი და ქორეოგრაფიული წრეები.

ბ.ბ) სახელოვნებო სკოლების გაერთიანების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტში არსებული ხუთი მუსიკალური სკოლის ხელშეწყობა, სადაც სწავლობს 253-მდე ბავშვი. სასწავლო წლის განმავლობაში ერთ მოსწავლეზე გადასახადი შეადგენს 100 ლარს, რაც არ არის საკმარისი მოსწავლეთა სწავლებისათვის და სხვადასხვა კონკურსებსა და ფესტივალებში მონაწილეობის მისაღებად. ასევე დაგეგმილია ქალაქ კასპში არსებული მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დაფინანსება, სადაც სხვადასხვა წრეებში გაერთიანებულია 145-მდე მოსწავლე. აღნიშნული პროგრამის განხორციელება ხელს შეუწყობს სხვადასხვა კონკურსებისა და ფესტივალების ჩატარების უზრუნველყოფას.

ქვეპროგრამის ფარგლებში გარემონტდება მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის შენობა.

ბ.გ) ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 03)

